წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №7

2025 წლის 28 მარტი

ქ. წყალტუბო

,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე - 20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №31 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.122.016413 . ვებგვერდი, 30/10/2017) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. სტრატეგიულ მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;

ბ) გავლილი გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით;

გ) გავლილი სასერტიფიკატო პროგრამა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრირების მიმართულებით (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მენეჯმენტის სპეციალობით ან განათლების ადმინისტრირების სპეციალიზაციით აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირებზე).“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,, 1. საგანმანათლებლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება განათლების, ფსიქოლოგიის, სოციალური, ჰუმანიტარული ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ან პროფესიული განათლება სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით;

ბ) გავლილი გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,, 1. ფინანსებისა და მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება ეკონომიკის ან ფინანსების დარგში ან პროფესიული განათლება ეკონომიკის ან ფინანსების დარგში.“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიული განათლება.“

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 10 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,, 2. საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველ პერსონალს – აღმზრდელს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე.“

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,, 1. ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში ან დაკავებული პოზიციის შესაბამისი პროფესიული განათლება.“

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 11 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,, 2. ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს გავლილი აქვს გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით.“

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1- ის მე- 15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. კვებაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში.“

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1- ის მე- 16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. მატერიალური რესურსის გამართულობაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს სრული ზოგადი განათლება.“

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1- ის მე- 17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. მცენარეთა დაცვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი